

სვანტე ე. კორნელი

მცირე ერები და დიდი სახელმწიფოები. კავკასიის ეთნოპოლიტიკური
კონფლიქტების კვლევა

წიგნიდან: Svante E. Cornell. Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflicts in the Caucasus. Curzon, 2001, pp. 47-60, 142-196.

საბჭოთა კავშირის დაშლა და კონფლიქტური იდენტობები

კონფლიქტების ერთ-ერთი თვალსაჩინო წყარო არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მეორე მსოფლიო ომისშემდგომ მსოფლიოში თავდაპირველი, ძველი იდენტობების გამოცვებების იყო – ისეთებისა, როგორიცაა ტომი, ეთნიკურობა ან რელიგია. თავად ის ფაქტი, რომ “გამოცვებებაზე” ვსაუბრობთ, გულისხმობს, რომ ეს იდენტობები არც სტატიკურია და არც თანდაყოლილი. ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებებთან, კერძოდ, მათ ბიძგს აძლევს პოლიტიკური პროცესები. ეთნიკური მობილიზაცია, როგორც წესი, ხდება სხვა ერთობასთან კონფლიქტის ატმოსფეროში. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია, ვისაუბროთ სარკისებურ ნაციონალიზმზე: ხალხი ერთიანდება საერთო მტრის წინააღმდეგ, რაც აძლიერებს გარკვეული ჯგუფისადმი მათი კუთვნილების განცდას.

სახელმწიფოს ფარგლებში ერთობათა შორის კონფლიქტები წარმოიშობა მაშინ, როცა მის შემადგენლობაში შემავალი ერთი ან რამდენიმე ჯგუფი აღარ ახდენს თვითიდენტიფიცირებას სახელმწიფოსთან, რომელსაც მიეკუთვნება. ამას საფუძვლად უდევს დისკრიმინაციის განცდა, ჯგუფური იდენტობის პოლიტიკური მობილიზაცია, ან, ხშირად, ამ ფაქტორების კომბინაცია, რომლებიც ერთმანეთს განაპირობებენ კიდევ. ამის თავიდან ასაცილებლად, მრავალეთნიკური სახელმწიფოების მმართველები ხშირად ხელს უწყობენ ერი-სახელმწიფოს მშნებლობის პროცესს იმ მიზნით, რომ ჩაანაცვლონ ტრმობრივი ან ეთნიკური იდენტობა ეროვნული იდენტობით, რომელიც მესამე სამყაროს მრავალ ქვეყანაში ხელოვნური და აბსტრაქტული ცნებაა.

საბჭოთა იდენტობა და ლოკალური იდენტობა

ეთნიკური ან ჯგუფური იდენტობების გამოდევნის მეორე და, შესაძლოა, უფრო წარმატებული მეთოდია მათი ჩანაცვლება იდეოლოგიით. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტურ იდეოლოგიას უნდა წაეშალა განსხვავებანი ხალხებს შორის და ჩამოყეალიბებინა თვისებრივად ახალი ადამიანი. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურა ეროვნულ დაყოფას ეფუძნებოდა. “ეროვნული” ერთობები, რომელთაგან შედგებოდა საბჭოთა კავშირი, არ იყო ეთნიკურად პომოგენური. ამ პეტეროგენულობის შედეგი იყო “სატიტულო ეროვნებების” მიერ უმცირესობათა ასიმილაციის ფარული თუ აშკარა პოლიტიკა. საქართველოში

ისეთი განსახვავებული ჯგუფები, როგორებიცაა სვანები და მეგრელები, თანდათან ასიმილირდნენ ქართული იდენტობის შეთვისებით. აფხაზები და ოსები “გაქართველების” პოლიტიკის წინააღმდეგი იყვნენ. რუსულ იდენტობაში მოქცევის ძლიერი ტენდენცია ვლინდებოდა რუსეთის არამუსლიმი უმცირესობების (კომი, მარი, უძმურტები, მორდოველები) მიმართ. ამ უმცირესობებისათვის პიროვნული და ჯგუფური იდენტობის საკითხი ფრიად რთული და გაურკვეველი იყო.

კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხალხთა უმრავლესობას ამ საუკუნის დასაწყისამდე არ ჰქონდა მკაფიო ეროვნული იდენტობა. სომხებისა და ქართველების გარდა, ერის (nation) ცნება ამ რეგიონის ხალხებში, ფაქტობრივად, არ არსებობდა. აზერბაიჯანელებისთვისაც კი, რომელთა ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია XVI საუკუნიდან იდებს სათავეს, ძირითადი იდენტობა სუბნაციონალური (სახანოები, რეგიონები, კლანები) ან ზენაციონალური (ისლამი) ხასიათისა იყო. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ კავკასიის მთის მცირე ხალხებზეც, რომელთა საზოგადოებებს არაფეოდალური კლანური სტრუქტურა ჰქონდა. 1920-იან წლებში მოსკოვი ცდილობდა არა მარტო გამაერთიანებელი საბჭოთა იდენტობის, არამედ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებასაც, განსაკუთრებით “კორენიზაციის” პირველ წლებში, როცა უდამწერლობო ენებს დამწერლობები შეუქმნეს და მათ გამოყენებას ახალისებდნენ. სოვეტოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ეს, შესაძლოა, კეთდებოდა იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ ისლამის დროშით კავკასიელი ხალხების გაერთიანება და მათი წინააღმდეგობა; საპირისპიროდ, ხაზი ესმებოდა მათ შორის არსებულ განსახვავებებს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ერის ცნების შემოტანა და ამა თუ იმ ფორმით დამკვიდრება ფაქტად რჩება. ამ პოლიტიკის შედეგი შეიძლება დავინახოთ 1990-იანი წლების ჩეჩენთის აჯანყებაში. თუ ჩრდილოკავკასიელთა წინა აჯანყებები მიმდინარეობდა ისლამის სახელით, როგორც წმინდა ომი – დაზავათი, რომელსაც მხარს უჭერდა მთის ხალხების უმრავლესობა, ახლანდელი აჯანყება ჩეჩენი ერის სახელით წარიმართა და, ძირითადად, ჩეჩენთით შემოიფარგლა. ჩეჩენები მხოლოდ სიტყვიერ მხარდაჭერას იდებდნენ მთის ზოგიერთი ხალხისაგან.

საბჭოთა ეპოქაში საბჭოთა, კომუნისტური იდენტობა ყველგან წარმატებით დამკვიდრდა, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, ჩრდილოეთ ოსეთში, იგი უფრო მტკიცე იყო, ვიდრე სხვაგან – მაგალითად, ჩეჩენთში. იგულისხმებოდა, რომ საბჭოთა იდენტობა ყველაზე ძლიერი და დრმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხშირად ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს: ხალხი აღიარებდა საბჭოთა იდენტობას მათი ჯგუფური იდენტობის გვერდით, მასთან ერთად, და არა მის ნაცვლად; ეს ორი იდენტობა თანაარსებობდა. ეროვნული, რელიგიური, რეგიონული, კლანური, ანუ თავდაპირველი, ტრადიციული იდენტობის დაძლევა ხანგრძლივი და იძულებითი პროცესია. ამასთან, საბჭოური კლასობრივი იდენტობა გამოუსადეგარი იყო კავკასიელი ხალხებისათვის, რომელთა ნაწილს წინაფეოდალური სოციალური სტრუქტურა ჰქონდა, მათ არ

გააჩნდათ წარმოების ნამდვილი კაპიტალისტური წესი. ამიტომ კავკასიელებისათვის საბჭოთა იდეოლოგია და იდენტობა უფრო ძნელად გასაგები იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის ევროპელი მოქალაქეებისათვის. თუმცა ეს პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც საბჭოთა იდენტობის პარალელურად არსებული ეროვნული და ეთნიკური იდენტობა არასოდეს იკრძალებოდა, დროდადრო კი წახალისებულიც იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ. მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებამდე არსებული, ალბათ, უკლაზე ძლიერი იდენტობა – ისლამი – სისტემატურად ითრგუნებოდა. საბჭოთა რეჟიმი ზოგადად რელიგიას და, განსაკუთრებით, ისლამს საფრთხედ მიიჩნევდა, რადგან მას შეეძლო როგორც ხალხის მობილიზება (რაც ნათლად აჩვენა უკანასკნელმა “წმინდა ომმა” – ღაზავათმა დაღესტანში 1920-22 წლებში), ასევე სხვადასხვა ხალხების გაერთიანება ერთი დროშის ქვეშ. ზოგიერთი ერთ ამ იდენტობებიდან ირჩევდა მათი რესპუბლიკების სატიტულო ეროვნების იდენტობის გათავისებას. ამის მაგალითია საქართველოში მეგრელებისა და სვანების ზემოთ მოყვანილი შემთხვევა. აზერბაიჯანში მცხოვრებმა ბევრმა ქურთმა, ლეზგმა და თალიშმა აზერბაიჯანული იდენტობა მიიღო, რასაც ხელს უწყობდა ამ ხალხებისათვის საერთო ისლამური იდენტობა. მათგან განსხვავებით, ეს ტენდენცია არ შეხებია აზერბაიჯანელებს სომხეთში ან სომხებს აზერბაიჯანში, ასევე აფხაზებს საქართველოში. ღრმა ლინგვისტური და რელიგიური განსხვავებებისა და ამ ხალხების ურთიერთუნდობლობის გამო, მათ საკუთარი იდენტობა შეინარჩუნება.

ჩრდილოეთ კავკასიაში 1920-იანი წლების “კორენიზაციის” ხანმოკლე, მაგრამ გადამწყვეტი პერიოდის შემდეგ ცენტრალურმა ხელისუფლებამ გაააქტიურა ადგილობრივი ხალხების რუსიფიკაციის პოლიტიკა. კავკასიელმა ხალხებმა, ძალზე განსხვავებული სოციალური ორგანიზაციისა და ძლიერი მუსლიმური იდენტობის წყალობით, თითქმის სრულად შეინარჩუნება საკუთარი იდენტობა, მაგრამ დიდი რაოდენობით რუსების ცხოვრებამ ამ რეგიონში გავლენა იქონია მათზე. ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული ენის დაუფლების აუცილებლობას განათლებისა და კარიერის მიზნები განაპირობებდა. და მაინც, ამ მხრივ რელიგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: ოსებმა, რომლებიც ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად განიცადეს რუსიფიკაცია. იდენტობის საკითხი საბჭოთა პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი და რთული იყო – ერთი მხრივ, კავკასიის, როგორც რეგიონის თავისებურებისა და, მეორე მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გამო, რომელიც გავლენას ახდენდა უმცირესობათა ჯგუფურ იდენტობაზე, ამა თუ იმ იდენტობის პერიოდულად წახალისებით ან დათრგუნვით.

საბჭოთა კავშირის დაშლა და იდენტობის ძიება

საბჭოთა კავშირის დაშლის ძირითადი შედეგი, იდენტობის საკითხის თვალსაზრისით, კავკასიის ხალხებში საბჭოთა იდენტობის გაქრობა იყო. გამაერთიანებელი იდენტობა, რომელიც აკავშირებდა საბჭოთა კავშირის ხალხებს, ადარ არსებობდა. ეს იყო ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ძალადობრივი კონფლიქტების წარმოშობა და რომელიც ხშირად უგულებელყოფილი იყო ამ რეგიონის კონფლიქტების თანამედროვე მკვლევართა მიერ. საბჭოთა იდენტობა ასუსტებდა და ამცირებდა კონფლიქტებს საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. ძმობისა და ერთობის ყოველმხრივ წახალისებული ოფიციალური რიტორიკა, როგორც ჩანს, ნამდვილად ახდენდა გავლენას საბჭოთა მოქალაქეების აზროვნებაზე. თუმცა კონფლიქტისაკენ მიდრეკილება, უდაოდ, არსებობდა – მაგალითად, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ან ქართველებსა და აფხაზებს შორის, მაგრამ იგი შესუსტებული იყო არა მხოლოდ იძულების გზით, არამედ, ასევე, საერთო საბჭოთა იდენტობისა და მისამი კუთვნილების გულწრფელი და ღრმა განცდით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. პრაქტიკულადაც და თეორიულადაც, ყოვლისმომცველი საერთო იდენტობა გაქრა: პრაქტიკულად – რადგან საბჭოთა კავშირი დაიშალა თხუთმეტ სხევადასხვა რესპუბლიკად, რომელთაგან თოხს ტერიტორიები ჰქონდა კავკასიაში (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო), ხოლო თეორიულად – რადგან კავშირის საფუძველი, კომუნიზმი, დისკრედიტებულ იქნა და, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. რეალურად, ინდივიდუალურ დონეზე, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, დაიწყო იდენტობის ძიება. ინდივიდისათვის ამ შემთხვევაში რამდენიმე შესაძლებლობა არსებობდა: ერთი ნაბიჯით უკანდახევა და იმ რესპუბლიკის ეროვნული იდენტობის მიღება, სადაც ის ცხოვრობდა; ფუნდამენტურ დონეზე გამოცალკევება და ეთნიკური ჯგუფის, ტომის ან დაბადების ადგილის იდენტობის არჩევა; ან ისეთი ზეეროვნული იდენტობის მიღება, როგორიცაა ისლამი მუსლიმი მოსახლეობისათვის.

დღემდე, როგორც ჩანს, უმცირესობათა დიდი ნაწილი წინააღმდეგია იმ რესპუბლიკების ნაციონალური იდენტუობის მიღებისა, სადაც ცხოვრობს. ზოგ შემთხვევაში ამას უფრო რთული ფორმა ჰქონდა. მაგალითად, არარეალური იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ აზერბაიჯანში მცხოვრები სომხები უეცრად აზებაიჯანელებად იგრძნობდნენ თავს. მაგრამ ეს იმ შემთხვევებშიც არ მოხდა, როცა განსხვავება ხალხებს შორის ნაკლებად მნიშვნელოვნად შეიძლება მოგვეჩნოს. მაგალითად, ლეზგები პროტესტს გამოთქვამენ ასიმილაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის საფრთხესაც გრძნობენ; მეგრელებმა და სვანებმა უეცრად გაისხენეს საკუთარი განსხვავებულობა დანარჩენი ქართველებისაგან; ჩეჩენებმა და ინგუშებმა, რომლებიც ფაქტობრივად ერთ ხალხს წარმოადგენენ, ერთმანეთისაგან განცალკევება გადაწყვიტეს. თუმცა, სავარაუდოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევას, ძირითადად, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, რადგან ინგუშები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის ფარგლებში ყოფნა აუცილებელი იყო სრული ტერიტორიული რეაბილიტაციისა და 1943 წლიდან ჩრდილოეთ ოსთის

მმართველობის ქვეშ არსებული (იხ. თავი VI) პრიგოროდნის რაიონის დაბრუნებისათვის. ძირითადად, ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი კავკასიის რესპუბლიკებში დღემდე წარუმატებელი იყო. მთავრობებმა ვერ შეძლეს გაედვივებინათ უმცირესობებში იმის განცდა, რომ ისინი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ეთნიკური კონფლიქტები, რომლებიც მთელ რეგიონს მოედო, უმრავლეს შემთხვევაში წინ უსწრებდა საბჭოთ კავშირის დაშლას. მაშასადამე, დეზინტეგრაციული პროცესები მაშინ დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი ერი-სახელმწიფოების მშენებლობის პოლიტიკაზე, რომელიც რესპუბლიკებში საბჭოთა იდენტობის რდვევისაკენ იყო მიმართული.

იდენტობა და კონფლიქტი

რეგიონის ახალი პოლიტიკური სტრუქტურით გამოწვეულმა იდენტობის ძიებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მშვიდობაზე რეგიონში. როგორც თედ გურმა (Ted Gurr) აღნიშნა, არსებობს ეთნიკური მობილიზაციის ორი წინაპირობა: ძლიერი ჯგუფური იდენტობა და დისკრიმინაცია ეთნიკურ საფუძველზე¹. კავკასიის ეროვნებებში ჯგუფური იდენტობის განცდის გაღვივებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ეთნიკური მობილიზაციის დია კონფლიქტად გადაქცევაში. ეთნიკურ საფუძველზე არსებული თუ საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა სრული უგულებელყოფით გამოწვეული დისკრიმინაციის განცდა 1980-იან წლებზე გაცილებით ადრე არსებობდა და ბევრ ადგილას დროთა განმავლობაში შესუსტდა. აქედან გამომდინარე, 1980-იანი წლების დასასრულს უმცირესობათა მზარდი კონფლიქტური განწყობის ძირითადი მიზეზი არა დისკრიმინაცია, არამედ ჯგუფური იდენტობის განცდის გამძაფრება იყო. ასეთი ვითარება შეიძლება დაინახოთ კოფლიქტების უმრავლესობაში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მდგინვარებდა. უმცირესობები მათი იმუამინდელი სტატუსის გადახედვისაკენ მიისწრაფოდნენ და საბუთარი რესპუბლიკის არსებობის უფლებაზე პრეტენზიას გამოთქვამდნენ.

რამ განაპირობა ეს პრეტენზიები? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორიტარული საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ შექმნილმა თავისუფალმა ატმოსფერომ მანამდე არსებული ფარული პრეტენზიები ზედაპირზე ამოატივებია. საბჭოთა კავშირში მცხოვრები მუსლიმების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი ალექსანდრე ბენიგსენი (Alexandre Bennigsen) ჯერ კიდევ ათი წლის წინ აცხადებდა, რომ, მაგალითად, ყარაჩაელებსა და ბალყარებს უკიდურესად სუსტი ეროვნული, მაგრამ ძლიერი ტომობრივი და ლოკალური იდენტობის განცდა ჰქონდათ². ასეთი ვითარებიდან

¹ იხ. Stephen Jones, "Georgia: A Failed Democratic Tradition" Bremmer and Taras-is წიგნში *Nations and Politics in Soviet Successor States*, pp. 288-310, p. 291.

² იხ. Darrell Slider, "Crisis and Response in Soviet Nationality Policy: The Case of Abkhazia", Central Asian Survey, vol. 4, no. 4, 1985, pp.51-68.

ეროვნულ თვითგანსაზღვრამდე დიდი მანძილია, რომელიც შეიძლება დაძლეულიყო პოსტსაბჭოთა ეპოქაში მხოლოდ ერთიანობისა და ჯგუფური იდენტობის გამძაფრებით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კავკასიაში ორმოცდათზე მეტი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, ცხადია, რომ თუნდაც ერთეული ამგვარი შემთხვევები საბედისტერო იქნება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის. დადესტნის რესპუბლიკაში, რომლის დაახლოებით ორმილიონიან მოსახლეობაში ოცდაათზე მეტი ეთნოლინგვისტური ჯგუფია, სახალხო ფრონტები გაჩნდა ბევრ შედარებით მრავალრიცხვან ეროვნებაში, რომლებიც ცდილობდნენ პრივილეგიებისა და კეთილგანწყობის მოპოვებას მხოლოდ საქუთარი ჯგუფისათვის. ამგვარი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებები, ბუნებრივია, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს და ადვილად შეუძლია ისეთი საზოგადოების ფაქიზი მრავალეთნიკური ბალანსის დარღვევა, როგორიც დაღესტანია. ამავე დროს, კავკასიის ომგამოვლილი ქვეყნების მძიმე ეკონომიკური მდგრმარეობა მხოლოდ ამძიმებს ამ ფეოქტიად ვითარებას.

დია და ფარული კონფლიქტების მართვის თვალსაზრისით, იდენტობათა პოლარიზაცია, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, განსხვავებულ გამოწვევას წარმოადგენს. მან უკიდურესად მძაფრი ფორმა მიიღო იმ კონფლიქტებში, რომლებიც ურთიერთსიძულვილში გადაიზარდა. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტში ჩართული ხალხების ძლიერი ჯგუფური იდენტობის შესუსტებისათვის ხანგრძლივი დრო იქნება საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ შემთხვევაში კონფლიქტების გავრცელების საშიშროება რეალურად არსებობდა, კავკასიის უველა დია კონფლიქტი (მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, პრიგოროდნის რაიონი და ჩეჩენეთი) შეჩერებულ იქნა. ეს არ ნიშნავს, რომ მათ გავლენა არ იქონიეს მეზობელ ხალხებზე. უფრო პირიქით, კავკასიაში არსებულმა მუდმივად არასტაბილურმა ვითარებამ და ფაქტმა, რომ რეგიონი სავსეა უველა სახის იარაღით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეთნიკური მობილიზაციის პროცესს და რეგიონში მცხოვრებ ხალხებში დაუცემობის შეგრძნება წარმოშვა. რეგიონული ეკონომიკის მძიმე მდგრმარეობამ ელემენტარული საარსებო საშუალებების უქმარისობა განაპირობა; გაჩნდა საშიშროება, რომ მწირი რესურსებისათვის ბრძოლა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების ფორმას მიიღებდა. ასეთი საშიშროება არსებობდა რუსეთის ფედერაციაში 1998 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკათა უმრავლესობის შემოსავლები ფედერალური ბიუჯეტის სუბსიდიებზეა დამოკიდებული. რეგიონული განსხვავება ხშირად ემთხვევა ეთნიკურ საზღვრებს; ამასთან, განსხვავებანი, რომლებიც, შეიძლება, არც იყოს ეთნიკურად განპირობებული, ხშირად სწორედ ასეთად აღიქმება. თუ ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა უკვე მობილიზებულია ძლიერი კოლექტიური იდენტობით, ეთნიკური კონფლიქტი რეალურ საშიშროებად იქცევა.